ოქმი N17

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 9 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „სამართლიანობისთვის" რეგისტრაციის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

3. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

4. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: რ. შულაია - კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება დღევანდელ ბიუროს სხდომას, გამომდინარე აქედან დღის წესრიგით წარმოდგენილ სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოსადგენ საკითხებს წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი თენგიზი აბაკელია

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი)

მოისმინეს: თ. აბაკელია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ

საკრებულოს სამი წევრის ედიშერ წურწუმიას, კახა ლატარიასა და გენადი ქაძანაიას მიერ წარმოდგენილ იქნა ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტაცია, რომელიც შესწავლილ იქნა კომისიის მიერ და მიზანშეწონილად ჩაითვალა დადებითი დასკვნის მომზადება მისი რეგისტრაციის თაობაზე, რომლის საფუძველზეც საკრებულოს ბიუროს 2016 წლის 9 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე რეგისტრირებულ იქნა ფრაქცია „სამართლიანობისათვის“. გამომსვლელის განცხადებით. წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და საკრებულოს სხდომას წარედგინება ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ წევრებს მიულოცა ფრაქციის დაფუძნება და წარმატებები უსურვა მათ საქმიანობაში.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N59 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „საშემოსავლო გადასახადი“ 250.0 ათასი ლარით და მუხლიდან „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე იურიდიული პირებიდან“ 254,8 ათასი ლარით. მცირდება ბიუჯეტში შემოსავლები 350,0 ათასი ლარით, კერძოდ, მუხლიდან „არაწარმოებული აქტივები, მიწა“. შემოსავლების

ზრდით მიღებული 154,8 ათასი ლარი, მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 147,8 ათასი ლარი - პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებებზე. 7,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის „თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება“ ასიგნებებზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 630,0 ათასი ლარით და შეადგინა 13676,5 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიას სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. შონია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N23 ოქმს თან ერთვის)

3. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები განისაზღვრა დასახლებების მიხედვით. საანგარიშო წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის დასახლებებში მოსახლეობის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული პროექტების განხორციელების პროცესში წარმოიშვა ეკონომია 129406 (ასოცდაცხრაათასოთხასექვსი) ლარის ოდენობით, რომლითაც შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტისათვის არსებული სხვა პრიორიტეტული სამუშაოები, კერძოდ: 1. ბიის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბიაში დამეწყრილი გზის აღდგენა - 33725 ლარი; 2. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში საცალფეხო ხიდის (ბურჯის გამაგრება) რეაბილიტაცია - 39603 ლარი; 3. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭიხუში შიდა სასოფლო (ცემენტო-ბეტონის) გზის მშენებლობა – 43721,95 ლარი; 4. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N2 საბავშვო ბაღის (ეზოს შემოღობვა) კეთილმოწყობა - 12356 ლარი. დაგეგმილი სამუშაოების მიხედვით დასახლებებისთვის გათვალისწინებული თანხების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გადანაწილებისა და მიღებული ეკონომიის ფარგლებში დამატებით განსახორციელებელი სამუშაოებისთვის აუცილებელი თანხების შესაბამისი დასახლებებისთვის განაწილების მიზნით, დაკორექტირდა შესაბამისი მონაცემები, რაც ასევე იწვევს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში სათანადო ცვლილების აუცილებლობას. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: დ. გულუა, გ. ზარანდია, კ. მიქაბერიძე, კ. ლატარია, ბ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N60 ოქმს თან ერთვის)

4. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს" ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს" ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" და აღნიშნა, რომ ყველასთვის მტკივნეული საკითხია, მითუმეტეს შპს „ხობის მოამბის" თანამშრომლებისთვის, მაგრამ გაზეთის გამოცემის ფორმატი უნდა შეიცვალოს, მითუმეტეს არსებობს წინა წლების აუდიტის დასკვნები სადაც მითითებულია, რომ უნდა გაუქმდეს შპს „ხობის მოამბე". დასასრულს აღნიშნა, რომ შპს „ხობის" მოამბეში" მუშაობენ კვალიფიციური კადრები, რომლის უმრავლესობა მისი თქმით გააგრძელებენ მუშაობას სხვა ფორმატით გამოცემული გაზეთის რედაქციაში.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა ფორმით გააგრძელებდნენ მუშაობას შპს „ხობის მოამბეში" ლიკვიდაციის შემდგომ უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლები?

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ისე ნუ შეხედავენ აღნიშნულ საკითხს, რომ ვინმეს ახირება ყოფილიყო შპს-ს გაუქმება, გაზეთი იარსებებს, ოღონდ მისი აზრით უპრიანი იქნებოდა გამოცხადდებულიყო ტენდერი, როგორც ეს მეზობელ მუნიციპალიტეტტებში ხდება და გამარჯვებული გამოსცემს გაზეთს, რომლის გამოცემაც უფრო იაფი დაუჯდება მუნიციპალიტეტს. წელიწადში შპს „ხობის მოამბის" შენახვა

ჯდებოდა 41,0 ათას ლარამდე, გაზეთის ბეჭდვის ტენდერზე გატანის შემთხვევაში ბევრად იაფი დაჯდება მისი გამოცემა. აქ მომუშავე ყველა გამოცდილი ჟურნალისტის ღვაწლი დაფასებული იქნება და ყველას სთხოვა გაგებით მოკიდებოდნენ აღნიშნულ საკითხს.

რ. გვარამია - გამომსვლელმა გამოთქვა სურვილი, რომ შესაძლებლობის ფარგლებში გამოინახოს, რაიმე სახის სამართლებრივი ფორმა, რის საფუძველზეც გაზეთის გამოცემა დაექვემდებაროს რომელიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რათა შპს-ს თანამშრომლები უმუშევრები არ დარჩნენ.

თ. გულუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ წინა წლებშიც 41,0 ათასი ლარი ჯდებოდა შპს „ხობის მოამბის" შენახვა, მაგრამ, რადგანაც მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა სხვა საინფორმაციო საშუალებები, წინა მთავრობის ხელში ის შენარჩუნებულ იქნა, ხოლო, რაც შეეხება შპს „ხობის მოამბის" ლიკვიდაციის შემდგომ უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლების დასაქმების საკითხს ეს არარეალურად მიაჩნია.

ვ. გაბედავა - გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი - განაცხადა, რომ გამგეობის მიერ დაგეგმილი იყო ორი ა(ა)იპ-ის ხობის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების ცენტრების და შპს „ხობის მოამბის" რეორგანიზაციის საფუძველზე მათი შერწყმა და ერთი იურიდიული პირის დაფუძნება, თუმცა იურისტებთან კონსულტაციის შედეგად გაირკვა, რომ ორი სხვადასხვა ტიპის იურიდიული პირის შერწყმა შეუძლებელი იყო, აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განხორციელდეს კულტურისა და განათლების ცენტრების შერწყმა და შპს „ხობის მოამბის" ლიკვიდაცია, რომლის შემდეგ შესაძლებელია უკვე ვიფიქროთ მისი ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრის დაქვემდებარებაში მოქცევაზე.

სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა თ. გულუას რეპლიკას უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლების დასაქმებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მათი დასაქმების საკითხი არარეალური არ იყო, სხვა დაპირებების მსგავსად, რის შემდეგ სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განმარტებით 2016 წლის ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებისას შპს - „ხობის მოამბეს" მიერ წარმოდგენილ იქნა შემოსულობების გეგმა 7520,0 ლარის ფარგლებში და დაუმტკიცდა 6565,0 ლარი. მიმდინარე წლის ნოემბრისთვის შპს „ხობის მოამბეს" შემოსულობებმა ფაქტიურად შეადგინა 1944,0 ლარი, რამაც წარმოშვა ვარაუდი შპს „ხობის მოამბის" მიერ გასაწევი ხარჯების

შესაძლო დაუფინანსებლობის შესახებ. გამგეობის განმარტებით ანალოგიური მდგომარეობა გრძელდება უკანასკნელი წლების განმავლობაში. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის წინადადებით, დაისვა საკითხი შპს ,,ხობის მოამბეს" ლიკვიდაციის თაობაზე, რადგან შპს-ს ფუნქციონირება არსებული ფორმით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამგეობის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს" ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

მ. შულაია - გაზეთ „ხობის მოამბის" მთავარი რედაქტორი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და და განაცხდა, რომ იზიარებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და საქმის კურსშიც იყვნენ მოსალოდნელ შემცირებებთან დაკავშირებით, მაგრამ მისი თქმით უმჯობესი იქნებოდა, წინასწარ შეხვედროდნენ ერთმანეთს და გამოენახათ ის გზა, რომ ლიკვიდაციის შემდგომ უმუშევრად არ დარჩენილიყვნენ შპს-ს თანამშრომლები, რადგანაც მათ უკან ოჯახები არიან, ყველას გააჩნდა ბანკის სესხები, რომელსაც ვერ გადაიხდიან უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში და ჩავარდებოდნენ უმძიმეს მდგომარეობაში. დასასრულს კიდევ ერთხელ სთხოვა ხელმძღვანელობას, რომ გამოენახათ რაიმე საშუალება, რათა არ დარჩენილიყვნენ უმუშევრად.

ვ. გაბედავა - გამომსვლელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მათი სურვილი და თვითმიზანი არ ყოფილა შპს „ხობის მოამბის" ლიკვიდაცია. შპს იყო მოგებაზე ორიენტირებული, მაგრამ გაზეთის რეალიზაციით ვერ ახერხებდა თავის შენახვას, ასევე არსებობს აუდიტის დასკვნები, სადაც მითითებულია მისი ლიკვიდაციის შესახებ. მისი განცხადებით, როგორც ზემოთ აღნიშნა უნდა მომხდარიყო რომელიმე ა(ა)იპ-ისთან შერწყმა, მაგრამ სამართლებრივად ვერ მოხერხდა. გაზეთი იარსებებს, მაგრამ სხვა ფორმით.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 1 (თ. გულუა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: დ. გულუა, გ. ზარანდია, კ. მიქაბერიძე, კ. ლატარია, ბ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N61 ოქმს თან ერთვის)

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: რ. შულაია - კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: რ. შულაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მომზადდა წინადადება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შერწყმისა და მათი ერთი იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბების შესახებ, რაც განპირობებულია კულტურისა და განათლების ცენტრების ფუნქციების, ამოცანებისა და მიზნების ოპტიმიზაციით. ზემო აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით გამგეობის მხრიდან წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”, რის შემდეგაც, ამ თანხმობის საფუძველზე გამოიცემა გამგებლის ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -

„ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ რეორგანიზაციისა და „ა(ა)იპ - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 1 (თ. გულუა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: დ. გულუა, გ. ზარანდია, კ. მიქაბერიძე, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N62 ოქმს თან ერთვის)

სხდომის დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ მოკლე კომენტარი გააკეთა საჯარო მოხელეთა მხრიდან დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით, კერძოდ ის შეეხო საჯარო მოხელეების სამსახურში დროულ გამოცხადებას და სთხოვა როგორც საკრებულოს აპარატის, ასევე გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელებს მიიღონ სათანადო ზომები რათა არ მოხდეს შრომითი დისციპლინის დარღვევა. ასევე ისაუბრა ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. თენგიზ აბაკელია
8. ლევან ქავთარაძე
9. ვასილ კუკავა
10. როსტევან გვარამია
11. თემურ გულუა
12. დიანა გულუა
13. მერაბ ნადარაია
14. მალხაზ ყურუა
15. ლეონიდე ლოლუა
16. მერაბ ფილიპია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. კახა მიქაბერიძე
20. გენადი ქამანაია
21. გენად ზარანდია
22. ფრიდონ შონია
23. კახა ლატარია
24. მზია ლემონჯარია
25. იგორ გოგოლაძე
26. ბეჟან ქირია